გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 153

2022 წლის 12 აგვისტო
ქალაქი გორი

გეოგრაფიული ობიექტის - ქუჩის თენგიზ ბურჯანაძის სახელის მინიჭებაზე მიზანშეწონილობის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია გორის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივა, რომლითაც ითხოვს გორის მუნიციპალიტეტის სადგური-ელექტროფიკაციის დასახლების ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს - ქუჩას: გზის მონაკვეთის სიგრძე 289,09 მეტრი, საკოორდინატო სისტემა: UTM WGS84 N38; კოორდინატები: საწყისი X=424956.742 Y=4647456.811; საბოლოო X=425099.566 Y=4647624.641; ქუჩას აღმოსავლეთით ესაზღვრება არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები: 66.45.28.012, 66.45.28.079; დასავლეთით ესაზღვრება არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები: 66.45.28.092, 66.45.28.035, 66.45.28.077, 66.45.28.044 ეწოდოს წარსულში გამორჩეული გორელი ფეხბურთელის თენგიზ ბურჯანაძის სახელი. „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ, საიდანაც გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო. თენგიზ ბურჯანაძის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი. საკითხი განხილულ იქნა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ და მიღებულ იქნა დადებითი დასკვნა. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, თენგიზ ბურჯანაძის სახელის უკვდავსაყოფად, მიზანშეწონილად მიაჩნია გამონაკლისის დაშვება, რომელიც უკავშირდება პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე:

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული გამონაკლისის დაშვება პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის საჭიროებასთან დაკავშირებით, გორის მუნიციპალიტეტის სადგური-ელექტროფიკაციის დასახლების ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ უსახელო გეოგრაფიულ ობიექტის - ქუჩისთვის თენგიზ ბურჯანაძის სახელის მისანიჭებლად.
2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30)

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**